ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7634009

ნომერი: AR11107765

თარიღი : 09.09.2025

გაცემის თარიღი : 19.09.2025

გაცნობის თარიღი : 19.09.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მირიან მეფის ქუჩა, N 47;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დიმიტრი მოსულიშვილი პ/ნ 01015002965
- კრწანისის 8

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 ოქტომბრის №7260268 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 9 სექტემბერს №AR11107765 განცხადებით მომართა დიმიტრი მოსულიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 22

ოქტომბრის №7260268 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 ოქტომბრის №7260268 გადაწყვეტილებით შეთანხმდა, №01.10.08.006.128 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2024 წლის 19 დეკემბრის №7325577 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2025 წლის 12 აგვისტოს №7589355 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2024 წლის 19 დეკემბრის №7325577 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით.
წინამდებარე განცხადებით, მოთხოვნილია სამსახურის 2024 წლის 22 ოქტომბრის №7260268 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება და ±0.000 ნიშნულის გეგმაზე ავტომობილების სადგომებსა და სავალ ნაწილზე შესაბამისი ფართობების დაფიქსირება. +10.200 ნიშნულის გეგმასა და გეგმაზე გამოტანილ შტამპებზე საზაფხულო ფართობების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა და +16.50 ნიშნულის გეგმაზე ბინების ნუმერაციების დაზუსტება.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული გეგმა-ნახაზები და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო და ბინების ნუმერაციები. შესაბამისად, შესაძლებელია შეთანხმებული ±0.000, +10.200 და +16.50 ნიშნულების გეგმების ჩანაცვლება წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 ოქტომბრის №7260268 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 ოქტომბრის №7260268 გადაწყვეტილებაში და შეთანხმებული ±0.000, +10.200 და +16.50 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 ოქტომბრის №7260268 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 ოქტომბრის №7260268 გადაწყვეტილებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.